

სახელი: მარიამი

გვარი: წურჭუმია

ასაკი: 15 წლის

სკოლის დასახელება: ქ. ფოთის თეოფანე დავითაიას სახელოს N1 საჯარო სკოლა

კლასი: 9(III)

ძვირფასო მეგობარო, გწერ საქართველოდან - პატარა, მაგრამ ამაყი და წმინდა ისტორიის მქონე ქვეყნიდან, მთაგორიანი ქვეყნიდან, სადაც თავისუფლების წყურვული არ წყდება და ისტორია ყოველდღე ახალ ფურცელზე იწერება. იმ ადგილიდან, სადაც ადამიანები დამოუკიდებლობას ხშირად ტკივილისა და ტანჯვის გადატანის შემდგენ პოულობდნენ, თავისუფლებას კი სულის ღრმა სიმშვიდეში ეძებდნენ.

ჩემი სამშობლო თავისუფლებისთვის საუკუნეთა განმავლობაში იბრძოდა და სწორედ ამ ბრძოლამ გამოიღო ფესვები. მე ვარ ამ ბრძოლის შედეგ-შენი მეგობარი, რომელიც უკვე დამოუკიდებელ საქართველოში დაიბადა, თუმცა, ხშირად ჩემს თავს ვუსვამ კითხვას- “ვართ კი ჩვენ მართლა თავისუფლები?”. ჩემს თაობას ვუყურებ იმ თაობის თვალით, რომელიც უკვე დამოუკიდებელ და თავისუფალ საქართველოში დაიბადა და არა ჩემი წინაპრების ქვეყანაში. 1991 წელს საქართველომ ოფიციალურად გამოაცხადა დამოუკიდებლობა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში დამოუკიდებლობა 1918 წელს დამკვიდრდა, თუმცა, ეს მხოლოდ მოკლენიანი ბედნიერების წუთები აღმოჩნდა.

საბჭოთა ოკუპაციამ შეძლო და გადაუარა ქვეყნის ნებას, დაგვჩრდილა ჩვენი ღირებულებები და ფასეულობები, მაგრამ ჩვენ ხომ ძლიერი და ურყევი ერი ვიყავით და ახლაც ვართ, ჰოდა, ჩვენ ჩვენივე ქართველი ხალხის გამბედაობით, რწმენით, მიზანდასახულობით და მათი სიყვარულით მამულისადმი, კიდევ ერთხელ შევძელით, რომ გამოგვეცხადებინა დამოუკიდებლობა. სწორედაც რომ ეს იყო ისტორიული მომენტი, რომელმაც ახალ თაობას -მათ შორის მეც-შანსი მოგვცა, რომ გავზრდილიყავით, ისეთ საქართველოში, რომლის კეთილდღეობა თუ არეულობა არ იქნებოდა დამოკიდებული რომელიმე სხვა სახელმწიფოზე, შანსი მოგვცა გავზრდილიყავით ისეთ საქართველოში, რომელიც თავის ბედს თვითონ გადაწყვეტდა და იქნებოდა გაბრწყინებული. ჩვენ მივიღეთ დამოუკიდებლობა, მაგრამ თავისუფლებამ უნდა გვასწავლოს, თუ როგორ უნდა ვიყოთ ყველაფრის და ყველას მიმართ პასუხისმგებლები. თავისუფლება-ნიშნავს, რომ შენ შენთვის ხარ შენი თავის უფალი და შენვე უნდა იყო, შენივე თავზე პასუხისმგებელი, რათა სხვის მიმართ იგრძნო პასუხისმგებლობა. თავისუფლებამ მოგვცა, არჩევის უფლება, მაგრამ ჯერ კიდევაც არ გვაქვს გათვითცნობიერებული “თავისუფლება”.

დამოუკიდებლობის მოპოვება მხოლოდ დასაწყისი იყო-მთავარი გამოწვევა არის დაცვა, შენარჩუნება და გაღრმავება. თავდაპირველად, მართალია, სულიერად

კიარა,არამედ,ფიზიკურადაც კი არ ითქმევა, რომ გავტყდით, მაგრამ ეს იყო ალბათერთგვარი გამოწვევა, ქაოსი, რომელშიც მოვექეცით, ეს იყო ეკონომიკური კრიზისი, ომ, მაგრამ ამით ჩვენი წინსვლა და განვითარება არ შეჩერებულა და არც ის

ხიდი ჩანგრეულა, რომელიც და რომელზე დღეს ასე მყარად ვდგავართ. სწორედ ეს იყო გზა, რომელიც აუცილებლად უნდა გაგვევლო და გავიარეთ კიდევაც, რის შედეგადაც

დღეს საქართველო არის გაძლიერებული, განვითარებული დემოკრატიით, სიტყვის თავისუფლებით და საქართველოს ევროპული ღირებულებისადმი სწრაფვა, კიდევ უფრო სწყურია, რათა არ გაუფასურდეს თითოეული განძის ტოლ-ფასის ტოლი ფასეულობა.

დამოუკიდებლობის მოპოვება იყო მზის ის ნათელი სხივი, რომელიც იყო ახალ ცხოვრებაში შესვლის შანსი. დამოუკიდებლობა ეს არ არის, მხოლოდ, გულზე დადებული მარჯვენა ხელით ჰიმნის შესრულება, ან ქართული დროშის ფრიალი, ეს არის ის მუდმივი პასუხისმგებლობა, რომელსაც ცხადყოფდა “ზნელი 90-იანი წლები”. მას შემდეგ საქართველოში, ბევრი რამ შეიცვალა. ე.წ. “ზნელი 90-იანი წლები”, ჩემს მშობლებს ახსოვს როგორ უწყლობის, უშუქობის ხანა, სადაც დამოუკიდებლობა და თავისუფლება არ იყო. დღეს კი მე და ჩემი თაობა ამ ხანაში არ ვცხოვრობთ, ჩვენ არ მოგვიწია “ზნელი” ცხოვრება. ჩვენ დამოუკიდებელ საქართველოში დაბადებულ ბავშვებს არ გვახსოვს, რუსთაველზე მდგარი ტანკები, არ მოგვისმენია დედების განწირული ხმით კივილი, არ გვინახავს ჩვენი თვალთ სიტყვის თავისუფლად წარმოთქმისთვის კაცთკვლა, მაგრამ ვიცით და ყოველდღიურად ამ ყველაფრის გააზრების დროს ვიაზრებთ თუ რაოდენ ძვირფასი ფასი ადევს თავისუფლებას. ჩვენ ვკითხულობთ, ვწერთ და ვსწავლობთ, იმას, რასაც გვინდა, თუმცა, ამ ყველაფერს მაშინ საბჭოთა იდეოლოგია ეწინააღმდეგებოდა, ავტორი თუ მწერალი, რომელიც გამოხატავდა უკმაყოფილებას საბჭოთა იდეოლოგიის მიმართ, უკმაყოფილებას იდევენებოდა ქვეყნიდან.

ჩვენ ახალგაზრდებმა, უნდა დავიწყოთ ამ ღირებულებების დაცვა, როგორიცაა დემოკრატია, ადამიანის უფლება, თანასწორობა. ვოცნებობ იმ საქართველოზე, სადაც თავისუფლებას არ ექნება უბრალოდ განმარტება, არამედ, მოისაზრებს ადამიანის ფიქრის, სიტყვისა და არჩევის პატივისცემას. ჩვენ ვხედავთ სინათლეს-თავისუფლების იმ სხივს, რომელიც დამოუკიდებლობის მიღების დროს ამოვარდნილმა ბობოქარმა ქარიშხალმა ვერ ჩააქრო და ძლიერმა ტალღამ ვერ წააღწია. ევროპა, მხოლოდ გეოგრაფიული მიზანი, ეკონომიკის განსავითარებლად არ გვინდა, ევროპა გვინდა, რომ განვითარდეს ჩვენი აზროვნება, არჩევანი და გონება. იმედი მაქვს, რომ ერთდღეს ვიქნებით ერთმანეთის სტუმრები და ერთად აღვნიშნავთ იმ თავისუფლებას, რომლისკენაც მივისწრაფვით. მინდა მერწმუნო, რომ საქართველო გზაზეა თავისუფლებისკენ და ეს გზა უკვე ჩვენზე გადის. დამოუკიდებლობა-მზეა, თავისუფლება-მზის სხივი. მომავალ შეხვედრამდე.

Dear friend

, I am writing to you from Georgia - a small but proud and sacred country, a mountainous country where the thirst for freedom never ceases and history is written on a new page every day. From a place where people often found independence through endure pain and suffering, and freedom in the deep peace of the soul.

My homeland has fought for freedom over centuries, and it is this struggle that has taken root. I am the result of this struggle - your friend, who was born in an already independent Georgia, however, I often ask myself the question - "Are we really free?". I look at my generation through the eyes of the generation that was born in an already independent and free Georgia, and not in the country of my ancestors. In 1991, Georgia officially declared independence, although independence was first established in Georgia in 1918. However, these proved to be only a brief moments of happiness.

The Soviet occupation was able to overturn the will of the country, overshadow our values and values, but we were and still are a strong and unshakable nation, so, with the courage, faith, determination and love of our Georgian people for their homeland, we were once again able to declare independence. This was precisely the historical moment that gave the new generation - including me - a chance to grow up in a Georgia whose prosperity or unrest would not depend on any other state, a chance to grow up in a Georgia that would decide its own destiny and would shine. We gained independence, but freedom must teach us how to be responsible for everything and everyone.

Freedom means that you yourself are the master of yourself and you must be responsible for yourself in order to feel responsible for others. Freedom gave us the right to choose, but we still do not have a conscious "freedom". Gaining independence was only the beginning - the main challenge is to protect, maintain and deepen it. At first, although we were not spiritually, but not even physically, we could say that we were broken, but it was probably a kind of challenge, a chaos in which we found ourselves, it was an economic crisis, a war, but this did not halt our progress and development, nor did it collapse the bridge upon which we stand so firmly today

This was the path that we had to take and have taken, as a result of which today Georgia is strengthened, with developed democracy, freedom of speech and Georgia's aspiration for European values. I am even more eager to ensure that the equal value of each treasure is not devalued.

Gaining independence was that bright ray of sunshine that was a chance to enter a new life. Independence is not just singing the anthem with the right hand on the heart, or waving the Georgian flag, it is the constant responsibility that the "dark 90s" demonstrated. Since then, many things have changed in Georgia. The so-called "dark 90s" are remembered by my parents as a time of waterlessness, darkness, where there was no independence and self-reliance. Today, my generation and I do not live in this time, we did not have to live a "dark"

life. We children born in independent Georgia do not remember the tanks standing on Rustaveli, we did not hear the doomed screams of mothers, we did not see with our own eyes the killing of people for freely expressing our words, but we know and every day, when we think about all this, we think about how precious the price of freedom is. We read, write, and study whatever we want, however, all of this was opposed by Soviet ideology at the time, and any author or writer who expressed dissatisfaction with Soviet ideology was expelled from the country.

We, the youth, must start defending these values, such as democracy, human rights, equality. I dream of a Georgia where freedom will not simply have an explanation, but will also include respect for human thought, speech and choice. We see the light - that ray of freedom, which the storm that broke out during the independence could not extinguish and the strong wave could not wash away. We do not want Europe, just a geographical goal, to develop the economy. We want Europe to develop our thinking, choice and mind. I hope that one day we will be each other's guests and together we will celebrate the uniqueness to which we aspire. I want to believe that Georgia is on the path to freedom and this path already passes through us. Independence is the sun, freedom is a ray of sunshine. Until the next meeting.